№ 59
პარასკევი, 17 მარტი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 59
პარასკევი, 17 მარტი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**თავ. ივანე, კონსტანტინე, დავით და ალექსანდრე გიორგის ძენი ციციშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელის დედის

## კნ. მაგდან დავითის ასულის ციციშვილისას

და სთხოვენ მობრძანდნენ დასაფლავებაზედ დასასწრებლად შაბათს, 18 მარტს, დილის 9 საათზედ, სოფელ ყინცვისში.
(1—78—1

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ“. განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ქავჯავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову

## ქართული თეატრი

შაბათს, 18 მარტს,
ქართული თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

### გემრიელი ლუკმა

კომედ. 3მოქ., გადმ. დ. ერისთავისაგან

II

### დივერტისმენტი

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, კარგარელი, გარელი; ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, ადამიძე და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჟიჟინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6 დის.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბაგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

გამგეობა კავკასიის მცირე-წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენთა და თავშესაფართა საზოგადოებისა,

ამ საზოგადოების წესდების მე-16 §-ს თანახმად, უმორჩილესად სთხოვს წევრებს მობრძანდნენ

## საზოგადო კრებაზე,

რომელიც კვირას, 26 მარტს, ნაშუადღევის პირველ საათზე მოხდება ტფილისის სამოსამართლო პალატის სადგომში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, გამგეობის 1899 წლის მოქმედების ანგარიში.

2, 1899 წლის შემოსავალ გასავლის ანგარიში.

3, გამასწორებელ ახალშენის 1899 წლის მოქმედების ანგარიში.

4, 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

5, სარევიზიო კომისიის მოხსენება 1899 წლის ანგარიშისა და 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

6, საზოგადოების საპატიო წევრად არჩევა საქართველოს ექსარხოსის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ფლაბიანესი.

8, მოხსენება საზოგადოების წევრის ა. ი. მანთაშევის შემოწირულების შესახებ.

9, მოხსენება კ. კ. ჰკუნის მიერ ახალშენის დირექტორის თანამდებობიდგან გადადგომის შესახებ.

შენიშვნა. საზოგადო კრება კანონიერად იქმნება ჩათვლილი, თუ 20 წევრი მაინც დაესწრო (საზოგადოების წესდების მე-17 პარაგრაფი).

(3—6.—2)

## მთავრობის განკარგულებანი

—

უმაღლესად ნება დაერთო კავკასიის სამხედრო ოლქის პოდპოლკოვნიკს გაბაშვილს მიიღოს და ატაროს ბუხარის მეორე ხარისხის ოქროს ვარსკვლავი.

დანიშნულ იქმნა ტვერის მე-43 დრაგუნის რაზმის შტაბს-როტმისტრი ესაძე—კავკასიის კავალერიის დივიზიის შტაბის უფროს ადიუტანტად.

## ახალი ამბავი

—

*** დღეს, 17 მარტს, საღამოს 8 საათზედ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის სადგომში მოხდება ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის შემწეობის აღმომჩენ კომიტეტის კრება.

*** შაბათს, 25 მარტს, ქართულ თეატრში ბ-ნი ზაქ. პ. ფალიაშვილი გამართავს კონცერტს. კონცერტში, თვით ფალიაშვილის ხორის გარდა, რომელიც ქართულ საერო სიმღერებს შეასრულებს, მონაწილეობას იღებენ ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა

## ფელეტონი

—

### ჟოზეფტა მარსენი.

(ერნესტო დოდეს ისტორიული მოთხრობა)

(შემდეგი *)

ყმაწვილმა კაცმა მძიმედ ამოიოხრა, თითქოს დაენანა ასე მალე შეწყვეტა ამ სასიამოვნო წუთებისა. მაგრამ რადგან ჯერ კიდევ ახალგაზდა იყო და ამასთან საშინლად მშიერიც, ძალა-უნებურად დაჰმორჩილდა თავისს ხვედრს. წუთს შემდეგ ტკბილმა ძილმა დაუხუჭა თვალები სწორედ იმ დროს, როდესაც მომხიბლავი სახე ახალგაზდა ქალისა თანდათან იპყრობდა მისს გულსა და გონებას.

ჟოზეფტა მარსენი ერთსა და იმავე დროს იყო შვილი და შვილი-შვილი არტისტისა. თითქმის ბავშვმა შესდგა პირველად ფეხი სცენაზედ და პარიჟიდგან თავისს დღეში არსად წასულა; ტერრორის საშინელი დღეები იქვე გაატარა. მერე უცებ, როგესპიერის დაცემის შემდეგ, როდესაც ხალხი რამოდენადმე გამოერკვა და ცხოვრებამ ჩვეულებრივი მიმდინარეობა მიიღო, საზოგადოებაში კვლავ აღიძრა ძველი, დროს-ტარებისა და სხვა და-სხვა გართობის სურვილი, კვლავ განიღვიძა ყოველგვარ მშვენიერების სიყვარულმა. ჟოზეფტას წილად ხვდა ამ დროს არა ჩვეულებრივ ყურადღების დამსახურება და მასთან ერთად დიდი სახელიც მოიხვეჭა. იმის და მიუხედავად, რომ დირექტორიის მმართველი ბარრა, თავისის სიმდიდრისა და საზოგადოებაში გამოჩენილის ადგილის წყალობით, მომხიბლავი მსახიობი ქალის ყველაზედ დაახლოვებულ ადამიანად ითვლებოდა, იგი ამ ექვსის თვის განმავლობაში იმდენადვე დაახლოვებოდა თავისს სატრფოს, რამდენადაც დაახლოვებული იყო იმ ღირს სახსოვარ დღეს, როდესაც „ბრიტანიკუსის“ წარმოდგენის შემდეგ გააცნეს ქალს და თავისს ქებათა-ქებით მისის არა ჩვეულებრივ ნიჭის მიმართ სცდილობდა იმისს გულის მოგებას.

გაგიჟებით, მაგრამ უიმედოდ უყვარდა; ეს ხდებოდა იმიტომ კი არა, რომ ჟოზეფტა მიუდგომელის, უზადო უმანკოებისა ყოფილიყოს. არა, თავისს სიცოცხლეში იმდსაც უყვარდა ერთხელ გაგიჟებით რესპუბლიკის ჯარის ერთი აფიცერი და უნდოდა მარტო მას ჰკუთნებოდა; მაგრამ სურვილის აღსრულება აღარ დასცალდა, სატრფო რეინის ომში მოუკლეს. ჟოზეფტა დიდხანს ჰგლოვობდა, მაგრამ ბოლოს ინუგეშა და ახლად სრულიად მშვიდად, თუმცა-კი უიმედოდ, მოელოდდა, რომ მეორე სიყვარულს დაესადგურებინა მისს გულში და დაეჭირა ის ადგილი, რომელიც ერთ დროს ეკუთვნოდა იმას, ვისაც ავსტრიელების ტყვიამ განუგმირა გული.

ბარრას ყურადღებით თავ-მოწონებული ჟოზეფტა სცდილობდა ესარგებლა იმის გავლენით; მაგრამ რადგან კარგად იცოდა რამდენი სამაცდურო რამ სდევდა თან და ისიც, რომ ბარრა, დიდის ხნით არც ერთ ქალს არ უდებდა თავს, გულში გარდასწყვიტა ესარგებლა მითი, ისე-კი, რომ თავისის მხრივ მსხვერპლად მოტანა არ დასჭირებოდა.

ბარრას გულში-კი ამ დროს, დრო გამოშვებით, ტკბილს იმედს მწარე უიმედობა შესცვლიდა ხოლმე და უიმედობას—იმედი. მაგრამ იმდენად გულ-მხიარულად, ტკბილად უხვდებოდნენ, რომ თავისდა უნებურად იმედს არ სტოვებდა და მედგრად მიისწრაფოდა სურვილის მისაღწევად. უნებურად ებმოდა მახეში. უწინ ბევრჯელ გაუმარჯვნია ქალებზედ; მხოლოდ ახლა-კი დროებით კმაყოფილდებოდა პლატონიურის სიყვარულით თუმცა-კი ყოველს მოხერხებულს დროს ეუბნებოდა ხოლმე ჟოზეფტას, რომ ამით არას დროს არ დაკმაყოფილდებოო.

აი ამ ყოფაში იყო მათი ნამდვილი დამოკიდებულება. მაგრამ, როგორც ჭკვიანი ქალი, მარსენი არ უმხელდა მას თავისის გულის ნამდვილს ვითარებას, რადგან არა ჰსუროდა ამითი თავისის წარჩინებულ მეგობრის წყენა. არ უკრძალავდა დანიშნულს საათებში თავისთან მოსვლას, უხვდებოდა ვითარცა ძალის მქონეს და მფარველს და სცდილობდა ამასთანავე ყურადღება არ მიექცია იმის გამარჯვებულის სახისათვის, რომლითაც იგი ეჩვენებოდა ხოლმე საზოგადოებას იმასთან ერთად, არასდროს არ სთხოვდა ამის ანგარიშს და ამ გვარად ყველას თვალში შეიქმნა მისი საყვარელი, იმისდა მიუხედავად, რომ ჯერ არა ჩაედინა რა ისეთი, რომ ღირსი ყოფილიყო ამ სახელისა.

დაუკეტა თუ არა ჟოზეფტამ როლანდს კარები, გამობრუნდა და საჩქაროდ გავიდა იმ დარბაზში, სადაც პირველად ის მიიღო. ვერ მოასწრო შესვლა, რომ გაიღო პირდაპირ კარები და სტუმარი გამოჩნდა. ეს იყო გენერალი ბარრა, წინანდელი გრაფ დე-ბარრა, აწ-კი დირექტორიის მმართველი, თავი-და-თავი დამცველი და გმირი იმ განთქმულის დღისა, 18 ფრუქტიდორისა, როდესაც რესპუბლიკას საშინელი განსაცდელი მოელოდდა, რომელიც მან ააცილა თავიდგან შეერთებულ მტერთა საშინელის დამარცხებით.

გარდამეტებულის სისუქნისა და სიცოცხლით მოლაღულის სახის გამომეტყველების გამო, რომლის მიზეზად გამხდარიყო რამდენადაც დროს ტარება, იმდენად შრომა და ჯაფაც, ბარრა, იმის მიუხედავად, რომ ჯერ სულ ორმოც-და-ორის წლისა იყო, უფრო ხნიერად გამოიყურებოდა. სახის მოყვანილობა მიმზიდველი ჰქონდა და, პარიკიდგან გამოიცქირებოდა მისი აზროვნებით სავსე თვალები, რომელთაც ჯერ კიდევ საკმაოდ შერჩენოდათ სიყმაწვილის ცეცხლი, თითქოს იმის დასამტკიცებლად, რომ ჯერ არ ეთქვა უარი დროს ტარებისაგან და საზო-

*) იხ. „ივერია“ № 58.

(იმღერებს ქართულ ხმებს), თავ. ი. ა. ბარათაშვილი, (იმღერებს „ოდესაც გიცქერ" და „რომანს"). ამას გარდა ქ-ნთ გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილის, ტასო აბაშიძის, ბ-ნთ ვ. აბაშიძის, გედევანოვის, სვიმონიძის და სხვათა მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება ა. ცაგარლის კომედია „მშვენიერი ელენეს მეძიებნი". დასასრულ „გოგონ ზე·" ლეკურს ითამაშებენ.

*** 14 მარტს სხდომა ჰქონდა ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს. საკრებულომ განიხილა საქმე ქალაქის მოურავისა და გამგეობის წევრების პასუხის გებაში მიცემის შესახებ. როგორც ვუწყით, მოურავსა და გამგეობის წევრებს, სასჯელთა დებულების მე-406 მუხლის ძალით, სამსახურის დროს დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდებოდათ. საკრებულომ საკმაო საბუთები არა ჰპოვა იმისთვის, რომ მოურავი და გამგეობის წევრები პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი და ამიტომ ეს საქმე მოსპო. ამავე სხდომაზედ საკრებულომ დაადგინა სამართალში მისცეს სავაჭრო პოლიციის ზედამხედველად ნამყოფი კუზანოვი და გამოძიება მოახდინოს ამავე პოლიციის მეორე ზედამხედველის ხეროდინოვის საქმის გამო. შემდეგ საკრებულომ განიხილა საბჭოს დადგენილება პასუხის გებაში მიცემის შესახებ საბჭოს წევრის თავ. ნ. ზ. თუმანოვისა, რომელსაც დაფასების ქაღალდებში სიყალბის ჩადენა ჰბრალდება, და დაადგინა მოახდინოს ამ საქმის გამო დამატებითი გამოძიება. საქმე თელავის ქალაქის მამასახლისის თათუზოვისა, რომელსაც ბრალი სასჯელთა დებულების მე-4 მუხლის ძალით ედებოდა, საკრებულომ დაადგინა მოსპოს.

*** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ქალაქის თვით-მმართველობამა და უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა ბ-ნმა რობიმ მოაწერეს ხელი ხელ-შეკრულობას, რომლითაც ტფილისის ცხენის რკინის გზა ხელ-ახლა მიეცა კონცესიით ბელგიის უსახელო საზოგადოებას. ბ-ნმა რობიმ ამასთან უნდა გადაიხადოს ის ხარჯი, რაც ქალაქმა ცხენის რკინის გზას მოანდომა შარშან, როდესაც თვით აპირობდა ამ გზის აღებას საწარმოებლად. ეს ხარჯი 120,060 მანეთამდეა.

*** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში ალავერდის ეპისკოპოსს, ყოვლად სამღვდელო კირიონს გაუგზავნია სანიმუშოდ გორის მაზრის სოფ. აწერისხევში ადგილობრივ მცხოვრებთაგან გაკეთებული პატარა სკამი, აკვანი, სკივრი და სტოლ-შკაფი. ასეთისა და სხვა ამგვარ ოჯახში სახმარ ავეჯეულობას სოფ. აწერისხევის მცხოვრებთა მშრომელი ნაწილი მრავლად აკეთებს თურმე მოცლის დროს, განსაკუთრებით ზამთარში და ძალიან იაფადაც ჰყიდიან. ამ სოფელში ასეთის შინა-ხელოსნობის გავრცელებას ხელს უწყობს ახლო მდებარე ტყე. სანიმუშოდ გამოგზავნილს პატარა ნივთებს ერთი ლურსმანიც არ აქვს ნახმარი, მაგრამ ისე მაგრად და ხელოვნურად არის გაკეთებული, რომ მნახველს გააკვირვებს. რა თქმა უნდა, რომ ასეთის ხელოსნობის ნაწარმოებმა საუკეთესო ბაზარი მოიპოვოს, გამოცდილი ხელმძღვანელია საჭირო. მისს ყოვლად უსამღვდელოესობას ეპისკოპოსს კირიონს ამ გარემოებისთვის მიუქცევია ყურადღება და „კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების" საბჭოსათვის უთხოვნია შეწეობა, რათა აწერის-ხევში 1897 წელს ამ საზოგადოების ხარჯით დაარსებულს სამრევლო სკოლასთან დაქირავებულ იქმნას გამოცდილი ხელოსანი და მოსწავლეთ ხელობა შეასწავლოს, რაც საზოგადოების საბჭოს კიდეც აღუთქვამს. ეხლა პატივცემულს ეპისკოპოსს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისთვისაც უთხოვნია, დახმარება აღმოუჩინეთ ამ სოფელში მოხელეობის გავრცელება.გაუმჯობესობის საქმესაო.

*** სამოსწავლო უწყებას კავკასიის უმაღლეს მთავრობასთან შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ქალაქ ყარსში ოთხკლასიანი საქალებო პროგიმნაზია იქმნას დაარსებული.

*** ქუთაისის წმინდა ნინოს დედათა საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ კავკასიის მთავარ-მართებელს დაუმტკიცებია ე. პ. პრინცის მეუღლე.

*** სომხთა კათალიკოსი მკრტიჩ I ტფილისში აპრილის თვის პირველ რიცხვებში ჩამოვა.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი კ. მ. ლინდენი ტფილისიდგან კახეთში წავიდა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა სარევიზიოდ.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობის განკარგულების თანახმად, რკინის გზის იმ სკოლებში, რომელნიც საერო განათლების სამინისტროს ექვემდებარებიან, — წარმოდგენების, საცეკვაო საღამოების, საკითხავების და სხვ. გამართვა რკინის გზის მოსამსახურეებისთვის მხოლოდ სამოსწავლო მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ შეიძლება. ამის გამო გამგეობამ დაავალა რკინის გზის ნაწილების და დეპოების უფროსებს და სხვა მოსამსახურეებს, ყოველთვის, როდესაც სკოლის სადგომებში აპირობენ რამე საღამოს ან წარმოდგენის გამართვას, ვიდრე რკინის გზის უფროსს მიჰმართავდნენ, ნება-რთვა აიღონ ადგილობრივ სახალხო სკოლების დირექტორისაგან.

*** ფინანსთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გამრავლებულ იქმნას ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორთა რიცხვი ამიერ-კავკასიაში.

*** ტფილისში მცხოვრებ სამთო ინჟინერთ განუზრახავთ გამოსცენ ახალი ჟურნალი: „Вѣстникъ горнаго дѣла и орошенія на Кавказѣ". აზრადა აქვთ ეს ახალი ჟურნალი გაზეთ „კავკაზ"-სთან ერთად გამოსცენ და იმის ხელის მომწერთ უსასყიდლოდ დაურიგონ. ჟურნალი თვეში ორჯელ გამოვა.

*** ტფილისის საეპარქიო საეკკლესიო მუზეუმის გამგე კომიტეტს 14 მარტს დაუდგენია მოიწვიოს გრავიორი გრ. ტატიშვილი და სთხოვოს დაუყოვნებლივ შეუდგეს სხვა და სხვა ჩვენ სოფლებსა და ქალაქ-დაბებში ტაძრების ორნამენტების გადაღებას. კომიტეტს გადაუწყვეტია ბ-ნ ტატიშვილს ამ თავითვე 100 მან. მისცეს, ხოლო დანარჩენი ჯილდო ნაწილ-ნაწილად აძლიოს. („ცნ. ფურ.").

*** დაბა ახალ-სენაკის საპატიმროს შენობის შესაკეთებლად სათანადო მთავრობის გამოანგარიშებით საჭიროა თურმე 6,643 მან. ამ ფულის გადადების შესახებ შუამდგომლობა უკვე აღუძრავთ მთავრობასთან. როგორც ამბობენ, განზრახულია ეს ფული კავკასიის საერობო თანხიდგან იქმნას გადადებული.

*** ამა წლის 20 იანვარს გზაზედ მოკლულის ქალის ეფ. სვიმონოვას მკვლელთა შესახებ საქმის გამოძიება ამ ჟამად უკვე დაუსრულებიათ და კიდეც წარუდგენიათ ბრალმდებლისთვის. ბრალი შვიდ კაცს ედება, რომელნიც უკვე გამოტეხილან დანაშაულობის ჩადენაში.

*** ამა 1900 წლის 1-დამ 8 მარტამდე ტფილისში გადამდების სენით ავად გამხდარა სულ 21 კაცი; აქედგან ყელ-ჭირვებით — 17, წითელათი — 1, ხუნაგით — 1 და სახადებით 2.

*** წარსულის 1899 წლის 29 ოქტომბერს გარეჯის ჯიშის ცხენის მომშენებელ საზოგადოებამ კრებაზედ აარჩია თავისს უფროსს წევრად პოლკოვნიკი გ. დ. გაბაშვილი, ხოლო ხაზინადრად თავადი ზ. მ. ლორთქიფანიძე. სათანადო მთავრობამ გაბაშვილი და ლორთქიფანიძე უკვე დაამტკიცა ამ თანამდებობაში.

*** როგორც რუსული გაზეთები იუწყებიან, ბორჩალოს მაზრაში შეუპყრიათ ციმბირიდგან გამოქცეული, ბორჩალოს მაზრის მცხოვრები ჭასან შაქარ-ოღლი. ტფილისის ოლქის სასამართლომ 1889 წელს მიუსაჯა ჭასან ოღლის ციმბირში გაგზავნა ალექსი ბატალაშვილის მკვლელობისათვის.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა უბრძანა მე-X ნაწილის ბოქაულს დაუყონებლივ ზომები მიიღოს დიდუბესა და ნაძალადევში ქუჩების, მოედნების და გზების დასასუფთავებლად და დასაწმენდად.

*** სამშაბათს, 14 მარტს, პოლიციამ მე-6 ნაწილის დუქნებსა და ყავახანებში 21 უბინაო კაცი შეიპყრო.

*** 15 მარტს, საღამოს 9 საათზედ, ელისაბედის ქუჩაზედ პოლიციამ შეიპყრო ტფილისის მცხოვრები გიორგი ქურაულიოვი და სიღნაღის მაზრის მცხოვრები ზაქარია ქარელაშვილი, რომელთაც სადღაც მოეპარათ ერთი სპილენძის ტაშტი, სპილენძის ჩაიდანი და უთო. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, ეს ნივთები ეკუთვნის თურმე ანდრეევის ქუჩაზედ მცხოვრებს სტეფანე ჯარიაშვილს. დამნაშავენი ქურდობაში გამოტყდნენ და სამართალში იქმნენ მიცემულნი.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

სულ ერთი წელიწადი არც-კია, რაც ინგლისელებმა ხართუმი და ომდურმანი დაიპყრეს და უკვე მოაწყეს და დაამშვენეს ეს ქალაქები. აუარებელი ხალხი მიდის თურმე ამ ქალაქების დასათვალიერებლად და სანახავად. მგზავრთ ხან რკინის გზით, ხან გემით უხდებათ სიარული. რკინის გზა ვადი-ხალფასა და ხართუმს შუა კვირაში ერთხელ დადის. ვადი-ხალფაში მშვენიერი სასტუმროა გამართული მგზავრებისათვის. თვით ხართუმში ამ ჟამად 2000 კაცზედ მეტი ჰმუშაობს: აშენებენ ახალ სახლებს, გაჰყავთ ქუჩები და სხვა. სხვათა შორის სირდარიისთვის მშვენიერ სასახლეს აგებენ თურმე. შეუდგნენ აგრეთვე გორდონის კოლლეგიისთვის (სასწავლებელი) ახალ შენობის აგებასაც. ინგლისის აფიცრები ამ ჟამად ხალიფის სასახლეში სცხოვრობენ. მახდის სახლი აფიცერთა კლუბად გადაუქცევიათ. ერთის სიტყვით, ინგლისის მთავრობა ისე გულ-მოდგინედ შესდგომია ამ ქალაქის მოწყობას, რომ, როგორც ამბობენ, ორი-სამის წლის შემდეგ ხართუმი დიდ ევროპიულ ქალაქს დაემსგავსება.

***

დღემდე დაჰშმარიტებით არ იციან, ვინ არის ველოსიპედის მომგონი. ფრანგებმა ეს საქმე ვინმე მიშოს სასარგებლოდ გადასწყვიტეს, რომელსაც სამშობლო ქალაქ ბარლედიუკში უკვე ძეგლი დაუდგეს. მაგრამ ინგლისელები არ ეთანხმებიან ფრანგებს და ამბობენ, რომ ველოსიპედი ჩვენმა თანამემამულემ გამოიგონა და პირველადაც ჩვენში, ლაიკმანის და ლოუსონის ქარხანაში, მომზადდაო. ინგლისელების სიტყვით, ფრანგმა მიშომ მხოლოდ პრაქტიკულად გამოიყენა ველოსიპედი.

---

გადოდ სიცოცხლე ჯერ კიდევ მიმზიდველს რასმეს წარმოადგენდა მისთვის. ერთის სიტყვით, ყოველივე მოგაგონებდათ იმ კაცს, რომელსაც წუთი-სოფლის ჭამა უნდოდა: მისის მოხდენილ, გემოვნებით სავსე ტანთსაცმელიდგან დაწყებული ამპარტავნულ მიმოხვრისა და ენაწყლიანს ლაპარაკამდე, რომელსაც არსად არა ხმარობდა ქალთა საზოგადოების გარდა.

ღიმილით მიუახლოვდა ჟოზეტტას, შუბლზედ აკოცა და სთქვა:

— გამარჯობათ ჩემო ანგელოზო.

— აჰ, თქვენა ხართ მოქალაქე — მმართველო? — მიუგო ჟოზეტტამ. — დღეს სულ არ მოგელოდდით: თქვენ იმდენი დიდი საქმე გაქვთ ამ ჟამად!

— აგრეც რომ უფრო დიდი ყოფ ლიყოს, მაინც არა დამაბრკოლებდა რა აქ მოსასვლელად და თქვენის მშვენიერის ხელების საკოცნელად. მაგრამ ახლა ჩემი საქმე თითქმის გათავებულია! პარიჟს ამ ჟამად ჩვენა ვბატონობთ!

ამ სიტყვებით ჩამოჯდა ჟოზეტტას გვერდით ერთ-ერთ ტახტზედ და დაუმატა:

— ყველა ჩვენი მტრები ხელთა გვყავან.

— ყველანი? — ცბიერად ჰკითხა ჟოზეტტამ.

— ყველაზედ საშიში მაინც. ბევრმა ვერავინ გაჰბედა ქალაქის გარს შემორტყმულ ჯარში გაპარვა. ორნი ღა დაგვრჩნენ — მეფის საიდუმლო აგენტები, როიალისტები ფიში ბორელი და როლანდდე ბელლიევრი.

როლანდის სახელის ხსენებაზედ ყმაწვილი ქალი შეუმჩნევლად შეკრთა.

— დარწმუნებული-კი ხართ?

— პოლიცია ადგია იმათს კვალს. ისინი ვერა შემთხვევაში ვერ გაიპარებიან პარიჟიდგან და აქ-კი თავშესაფარს არავინ მისცემს.

— ვინ არის ეგ, როლანდ დებელლიევრი?

— ერთი ერთგული მეამბოხეთაგანია საფრანგეთის საექვო მეფისა, რომელთაც მთელი პარიჟს აღელვება შეეძლოთ რესპუბლიკის წინააღმდეგ. ავისს დროზედ რომ არ გვეხმარა საჭირო ღონისძიებანი. მაგას „უჩინარ"-ის სახელით უფრო იცნობენ ყველგან. ეგ სახელი ვანდეის ძეა ბოხეთ დაარქვეს. მაგას მეჰკრიბა ქალაქ გარედ ასიოდე შუანი *), რომელთა დახმარებით ჰფიქრობდა სატახტო ქალაქის აღებას.

ჟოზეტტამ გაიკვირვა.

— როგორ? შეაგროვა მაგდენი შუანი და ისიც დირექტორიის ცხვირ წინ? როგორ მოახერხა ეგ ბელლიევრმა?

— თითო-თითოდ იწვევდა მათ შუაგულ ბრეტანიდგან, იმის წყალობით, რომ ჩვენი პოლიცია თვალყურს ჯეროვანად არადევნებდა. მონპარნასის საზღვარზედ დაუხვდათ საიმედო კაცი, რომელმაც სხვა და სხვა გზით გააპარა სიურენში, სადაც ისინი ნიშანს და ელოდდნენ, რომ მერე უცებ, მოულოდნელად დაგვესხმოდნენ თავს.

— ვთქვათ, გაებედათ და თავს დაგვსხმოდნენ, რასაკვირველია დაამარცხებდით, არა?

— შესაძლოა, — მიუგო ბარრამ და მისმა სახემ უცებ მკაცრი გამომეტყველება მიიღო.

— დავიჯერო, ეგ ერთი მუჭა ყაჩაღებისა აგრე საფრთხილო და საშიში იყო?

— იმ დროს ოჟერო ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო... ჩვენ კი მეციხოვნე ჯარის იმედი არა გვქონდა... და ამასთანავე მაგ ერთ მუჭა ყაჩაღებს, როგორც თქვენ ეძახით, თავისი ღირსეული წინამძღოლი ჰყავდათ!

— ესე იგი „უჩინარი", ანუ, უკეთ ვსთქვათ, როლანდ დე-ბელლიევრი, არა?

— დიახ, ჯერ მარტო ისა ღირს მთელ ჯარად!...

— მერე და, ჯერ ხომ სულ ბავშვია! — გაუფთხილებლად წამოსცდა ჟოზეტტას.

— განა იცნობ?

თავისს გაუფთხილებლობით გულგახეთქილი ჟოზეტტა სცდილობდა შეცდომების გასწორებას.

— მხოლოდ ერთხელ ვნახე... თეატრის ფოიეში გამაცნეს. ეკვს გარეშეა კეთილშობილ წოდების საზოგადოებას უნდა ეკუთვნოდეს, მხოლოდ ჯერ კიდევ იმდენად ყმაწვილია და გამოუცდელი, რომ არა მგონია საშიში იყოს რისთვისმე და ვისთვისმე.

— ნუ დაივიწყებთ, რომ ის არისტოკრატია, — გააწყვეტინა ბარრამ წყნარის, ლმობიერის ხმით, რომლითაც მას, როგორც აზნაურს, არ შეეძლო არ მოეხსენებინა თავისი წინანდელი თანამოძმენი: ნამდვილი წარმომადგენელია თავისის გვარეულობისა; საზოგადოდ ყველა ბელლიევრები მამაცნი არიან და ეგეც იმათ არაფერში ჩამოუვარდება. ვანდეიაში ეგ ბელლიევრი ღვთის რისხვას აყენებდა ჩვენს ჯარის-კაცთ, ყოველთვის მოულოდნელად გაჩნდებოდა იქ, სადაც ყველაზედ ნაკლებ მოელოდნენ, და საშინელს თავზარსა სცემდა ყველას. როცა თავისს საქმეს შეასრულებდა, გაჰქრებოდა ისევ, მოჩვენებასავით, იმის დაჭერას ვერავინ ახერხებდა. სწორედ აქედგან წარმოსდგა მისი მეტი სახელიც „უჩინარი". მომეტებულ ნაწილად ყველგან ამ სახელით იცნობენ. მისგან შეკრებილ შუანებისაგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო.

— მაშ ახლა განსაცდელი აგიცდენიათ თავიდგან და აღარაფრის შიში აღარ უნდა გქონდეთ, თუ-კი წინამძღოლი უნდა დაჭერილ იქმნას? გააწყვეტინა ჟოზეტტამ. რა იქნენ ახლა ისინი?

— აქეთ-იქით გაიფანტნენ. მათ შორის ერთი მოღალატე აღმოჩნდა, რომელმაც გვიჩვენა სახლი, სადაც იარაღი ჰქონოდათ შენახული; იგივე დაგვპირდა ამადამ ჩვენს ხელში „უჩინარის" ჩაგდებას. სამხედრო სასამართლო მაშინვე გადაუწყვეტს სიკვდი-

*) შუანები როიალისტები, რომელთაც ვანდეიაში რეპუბლიკის წინააღმდეგ აჯანყება მოახდინეს 1793 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ინგლისელებს ერთი მეტად უცნაური თამაშობა გამოუგონიათ. ამ თამაშობაში მონაწილეობას ახალგაზდა ქალები და კაცები იღებენ. დიდ მოედნის ცალ მხარეს ქალები სდგანან მაღლობზედ, ხოლო მეორე მხარეს —ცხენებზედ ამხედრებული ყმაწვილი კაცები. ქალებს წინ წყლით სავსე მაღალი კათხები უდგიათ, ხოლო კათხებში თვითო ვაშლი გდია. ყმაწვილმა კაცებმა მეორე მხრიდგან უნდა გამოაჭენონ ცხენები, როდესაც ქალებს მიუახლოვდებიან, ჩამოხტნენ და პირით წყალში მოტივტივებული ვაშლები დაიჭირონ, შემდეგ ხელ-ახლა ცხენზედ შეჰხტნენ და უკანვე გააჭენონ. ვაშლი ყველა მხედარს პირში უნდა ეჭიროს. ვინც ყველაზედ ადრე დაბრუნდება უკან, ის ჯილდოს მიიღებს. საინტერესო აქ ვაშლის დაჭერაა კათხაში. ბევრი რამდენსამე წუთს წვალობს თურმე და მოტივტივებულ ვაშლს მაინც ვერ იჭერს. ეს თამაშობა უფრო მაღალს საზოგადოებაშია მიღებული.

* * *

ამ ბოლოს დროს საოცარის სისწრაფით ვრცელდება ევროპასა და ამერიკაში თვით-მოსიარულე ეტლები. 1897 წელს გერმანიაში, მაგალითად, მხოლოდ სამი ქარხანა იყო, სადაც ასეთ ეტლებს ამზადებდნენ, დღეს-კი 43 ქარხანაა. თვით-მოსიარულე ეტლი ჯერ კიდევ ძვირადა ჰღირს. ავსტრიაში 17,000 ჰულდენი მიუციათ ერთ ასეთ ეტლში. პარიჟში არის ისეთი თვით-მოსიარულე ეტლები, რომლებიც 65,000 ფრანკადა ჰღირს თვითო. დღითი დღე ამ გვარ ეტლებს აუმჯობესებენ. ზოგიერთ თვით-მოსიარულე ეტლს საათში 48—50 კილომეტრის გავლა შეუძლიან.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 მარტი

**ლონდონი.** „Morning Post"-ს დეპეშით აუწყებენ მეფკინგიდგან 13 მარტს, რომ მტერი ინგლისის სიმაგრეებს ზარბაზნებს ისევე ესვრისო. ბურები დიდადა სცდილობენ ადგილობრივ მკვიდრთა დამშვიდებას.

„Daily Telegraph"-ს აცნობებენ ლედი-სმიტიდგან 21 მარტს, რომ 2,000 ბური კვლავ იცავს დრაკონის გორების 9 შესავალს, ესენი ორანჟელი ბურები არიან. ხმა დადის, რომ ბურებმა ბუგგერსბერგიდგან აალაგეს დიდი ზარბაზნები და ამ ადგილ-სიმაგრის დაჭერას კვლავ აღარა ჰფიქრობენო.

„Daily Chronicle"-ს აუწყებენ კიმბერლეიდგან 26 მარტს, რომ 400 ორანჟელმა ბურმა დაიჭირა გზა კიმბერლეისა და პაარდებერგს შუაო.

იმავე გაზეთს დეპეშით აუწყებენ ლედი-სმიტიდგან 26 მარტს: „აქ ცნობა მოვიდა, რომ ბურების რაზმი ვესელსპრუთანა სდგასო, განაპირა სადგურში ელანდსლაგტესაგან ჩრდილოეთითაო.

„Daily News"-ს დეპეშით აუწყებენ კაპშტადტიდგან 26 მარტს: „ფელდმარშალი რობერტსი აპირებს აქ მოსვლას თავისის მეუღლის სანახავად. შესაძლებელად არ მიაჩნიათ, რომ სატევი მოძრაობა ერთის თვის ადრე დაიწყოს. გენერალი კლემენცი ოთხ რაზმად მიდის ბლუმფონტენს.

„Daily News"-ს აუწყებენ ფორსმიტიდგან: „ეგერსფონტენი და ფორსმიტი გენერალმა კლემენცმა ისე დაიპყრო, რომ წინააღმდეგობა არავის გაუწევიაო".

**ლორენცო მარკეზი.** 15 მარტი. გენერალი ჟუბერი გარდაიცვალა.

**ბლუმფონტენი.** აქ მილნერი ჩამოვიდა.

**პრეტორია.** ნატალის ერთის ადგილ-სიმაგრიდგან მოსული დეპეშა იუწყება, რომ ქვა-ნახშირის მაღნების ნგრევას განაგრძობენ, რადგან იგი ინგლისელებს სარგებლობას მოუტანსო. დენდის მაღაროებში ყველა ნახშირის სამტვრევი ადგილები აფეთქებულია, ხოლო მანქანები განადგურებულნი. დანარჩენ მაღნების სანგრევი სამზადისიც დაბოლავებულია.

**სიმონსტაუნი.** გუშინ ჩრდილოეთის ბანაკიდგან გაიქცა ორი ბური, სამხედრო ტყვედ შეპყრობილი.

**ვანვიკოგლეი.** (კაპის ახალშენის ჩრდილოეთ ნაწილშია). გენერალი პერსონ გუშინ დაბრუნდა მოწინავე ჯარიდგან, რომელიც მეამბოხეთ ებრძვის. აქ უპინგტონიდგან ამბავი მოვიდა, რომ ამბოხება მოსალოდნელიაო. სპენკამას 800 მეამბოხე ჰყავს, რომელიც მარტინის სისტემის თოფებით არიან შეიარაღებულნი. სამხედრო სამზადისი საკმაო აქვთ.

**ლორენცო-მარკეზი.** სამხედრო უწყებას ამბავი მოუვიდა 23 მარტს, რომ გენერლები გრობლერი და ოლივიე, რომელნიც ამას წინად მოვიდნენ ნორვალსპონტიდგანა და სტრამბერგიდგან ტაბანკუს მიდამოებში, იმდენად წინ არიან წაწეულნი ჩრდილოეთისაკენ, რომ შიში მათის განშორებისა და განცალკევებისა მტრის მიერ აღარ არისო. აქ მოლოდინი აქვთ, რომ ჯარი, ორანჟის რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილიდგან გასული ამ ხანებში, ჩქარა მოვა ვანბურგაო. ამ დღეებში გრობლერი და ოლივიე შეუერთდებიან გენერალს დევეტომს და ამიტომ შეიძლებენ და რობერტსს საკმაოზედ მეტს წინააღმდეგობას გაუწევენო.

**მასსერუ.** პოლკოვნიკის პოლჩერის ინგლისელთა რაზმის უკან დაწევის შემდეგ ლედიბრანტში შევიდა მრავალ-რიცხვოვანი რაზმი ბურებისა. ამ რაზმს, როგორც ჰფიქრობენ, უფროსობს ოლივიე. ამათ პლაატბერგსა და მოლდერ პორტის ახლო-მახლო ძლიერი სიმაგრე დაიჭირეს. ჰფიქრობენ, რომ ბურებს კრონშტადტისაკენ უკან გასაბრუნებელი გზა შეკრული აქვთ და ბრძოლა მოსალოდნელიაო.

**სოფია.** სამხედრო მინისტრი პაპრიკოვი პეტერბურგს წავიდა.

**ბრიუსელი.** სენატში გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს რეეზენმა განაცხადა, რომ გაადის სამშვიდობო კონფერენციას მარცხი დაემართა, რადგან იმას, მერე სულ მცირე ხნის შემდეგ, ომი მოჰყვა ოქროს გამო, რომელმაც მრავალის ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა—რადგან ბელგიის არსებობა ხელ-შეკრულებათა სიმართლე-სიმტკიცისაგან არის დამოკიდებული, დიდად ღირს-შესანიშნავია, რომ სუსტთა უფლებანი პატივ დებულიყოს და ძლიერება უფლებას არა ჰლახავდესო. გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ საერთაშორისო დამოკიდებულებათა გაწესრიგების საქმეში გაადის კონფერენციის დაადგენილებანი მაშინ დაიწყეს არსებობას, როდესაც ყველა სახელმწიფო შეიწყნარებს და ხელს მოაწერსო. საერთა შორისო დავაუთანხმოების მშვიდობიანად გარდაწყვეტის საქმეში ეს კონფერენცია დიდის ნაბიჯის წინ წადგმის მომასწავებელიაო. მონტეფიერემ დიდი უკმაყოფილება განაცხადა იმის გამო, რომ ბელგიის ჟურნალ-გაზეთობა ჰკიცხავს ინგლისსაო. მინისტრმა სთქვა: სრული თანახმა ვარ მონტეფიერეს აზრისა და ვწუხვარ, რომ ჟურნალ-გაზეთობას ავიწყდება, რა სიკეთე მიუძღვის ინგლისს წინაშე ბელგიისა, რომელიც დიდი მადლობელი უნდა იყოს ინგლისისაო. შემდეგ, როდესაც სენატორმა პიკარმა განაცხადა, რომ ბურების რესპუბლიკებს თანავუგრძნობო, მინისტრმა შენიშნა, რომ არც მთავრობამ და არც პარლამენტმა თავისი აზრი არ უნდა გამოსთქვან სხვათა დავა-უთანხმოების შესახებაო.

16 მარტი

**ოდესსა.** 15 მარტს მოვიდა ბოლგარიის სამხედრო მინისტრი პოლკოვნიკი პაპრიკოვი.

**ბერლინი.** საბიუჯეტო კომისია იმპერიის სეიმისა. ბიულოვმა ის აზრი გამოსთქვა, რომ საფლოტო პროექტს საგერი ხასიათი უნდა მიეცესო. შემდეგ მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში საქმეთა ვითარება შეიცვალა, ინგლისი გაურეველობის პოლიტიკის შემდეგ იმპერიალიზმს დაადგაო. ოფიციალურად დამოკიდებულება საზოგადოდ უკეთესია, მაგრამ ხალხის ვნებითა ღელვამ თანდათან დიდი გავლენა მოიპოვა, რის გამოც მშვიდობიანობის დასაცველად აუცილებლად საჭიროა მეტი ფული გაიღოს სამხედრო საქმეთათვისაო. პროექტის წინააღმდეგ გამოსთქვეს თავიანთი აზრი სოციალისტებმა და თავისუფლად მოაზრე საერო დასმა.

**სიმონსტაუნი.** წარსულს ღამეს საავადმყოფოში კიდევ ერთი ბური გარდაიცვალა. კვირიდგან ეს მეშვიდე შემთხვევაა. აქაურს საავადმყოფოში ოც-და-ათი დატყვევებული ბური წევს სახადით ავადმყოფი, მასსერუში—50. გემებზედაც ბევრნი არიან ავად. ამბობენ, რომ ტვირთის გემები ამ კვირის დამლევს წავლენ წმ. ელენეს კუნძულში.

**ლორენცო-მარკეზი.** ჟუბერი გარდაიცვალა გუშინ, ღამის 11-ნახევარს საათზედ, კუჭის ავადმყოფობით. პრეტორია დიდად დამწუხარებულია ამ ჭეშმარიტის მამულიშვილისა, მამაცის გენერალისა და პატიოსანის კაცის გარდაცვალებისა გამო,

**კრონშტადტი.** გენერალი დელარეი ინფლუენციით გახდა ავად. ტრანსვაალის ჯარის უფროსობა გენერალ სმუტსის მიენდო. კრაუპერი იცნობება, რომ ლედი-ბრანდი ისევე დავიპყარ და ინგლისელებმა იქ მხოლოდ ერთს საათს შეიმაგრეს თავიო. ლანდროსტი ვან-გორკუმი და ფელდკორნეტი სმიტლი ტყვედ დავიჭირეთ. ინგლისელებს ერთი მოუკვდათ და სამიც ტყვედ დარჩნენ, დანარჩენნი მასსერუში გაიქცნენ. ბრანდფორდთან პაწია შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც მოკლულია ოთხი ბრიტანელი და დაჭრილია ექვსი.

მიხეილ დევეტი მოვიდა პრეტორიაში და გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი მიეგება.

**ლონდონი.** სამხედრო მსროლელთა კავშირის წევრთა კრებაზედ თავმჯდომარეობდა ლორდი უოლსლეი. მან სიტყვა წარმოსთქვა და დიდის ქებით მოიხსენია კარდველი; მან ისეთი სამხედრო წეს რიგი შემოიღო, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო ომი განგვეგრძოო. უოლსლეიმ სთქვა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მილიციას, მხოლოდ მან შეგვაძლებინა შეგვედგინა ჯარი, რომელიც ამ ჟამად სამხრეთ-აფრიკაში იბრძვისო. მე კარგად ვიცი, რომ საზღვარ გარედ ჰფიქრობენ, ვითომ ინგლისი ძალიან შესუსტებული იყოს ჯარის მხრივ, მაგრამ ჩვენი ყაზარმები არას დროს არა ყოფილა ისე სავსე, როგორც ეხლა არისო. შეიძლება გაწვეულ იქმნას კიდევ 50 ბატალიონი მილიციის ქვეითა ჯარისა, მაგრამ ამდენის ჯარისათვის ალაგი არ მოგვეპოვება.

---

ლით დასჯას და ხვალ გათენებისას ვენსენის თხრილის იქით...

აქ ბარრამ აღარ გაათავა და საკმაოდ გასაგების მოძრაობით დაასრულა სიტყვა. მარსენი იმ ფიქრზედ, რომ უბედური, რომელსაც სიკვდილით დასჯა წინდაწინვე ჰქონდა გარდაწყვეტილი, ამ დროს იქვე, მეორე ოთახში იმყოფებოდა და უექველია ტკბილ, უდარდელ ძილისათვის მიეცა თავი, უნებურად ღიმილი ვეღარ შეიმაგრა და აქვე გარდაწყვიტა იგი სიკვდილის ხელიდგან გამოეგლიჯა და პოლიციის ყოველი ცდა მისდა დასაჭერად ფუჭად ჩაეტარებინა.

ბარრამ-კი ლაპარაკით წელზედ ხელი მოჰხვია და თავისაკენ მიიზიდა. ქალი არ ეწინააღმდეგებოდა მისს ალერსს: მისი თავი გადაიხარი და წყნარად მიეყრდნო დირექტორიის მმართველის განიერს, მძლავრს მკერდს. ბარრამ გატაცებით დაუწყო კოცნა მისს სურნელებით სავსე, აბრეშუმის მსგავსს შავს თმას. ჟოზეფტამ ცბიერებით სავსე ხმით, რომელშიაც ცოტაოდენი სიცილიც გამოისმოდა, უთხრა:

— იცით რა, ჩემო ძვირფასო მბრძანებელო, თავი მომწონს, რომ ჩემისთანა უმნიშვნელო მსახიობს რესპუბლიკის მხსნელი ეხვევა და ეალერსება. ხომ ვერავინ იტყვის უარს, რომ მარტო თქვენ დაიხსენით განსაცდელისაგან რესპუბლიკა...

— ეგ მართალია, მაგრამ უმეტესობა ხალხისა უმადურია, დაუნახველი. მალე დაივიწყებენ ჩემ მიერ სამშობლოს მიმართ გაწეულს სამსახურს.

— რა ვუყოთ, კეკლუცობით გააწყვეტინა ქალმა: ოღონდ-კი თქვენი ღვაწლი ზოგიერთებმა არ დაივიწყონ...

აქ აიღო მაღლა თავისი მომხიბლავი თავი და ბარრას თავისი მწვავი თვალები რამოდენსამე ხანს გაუშტერა. აღტაცებულს ბარრას ამან მთლად დაუბნია გონება.

— აი, შე მაცდურო! შეჰყვირა იმან: განა ჩემი ერთგული და მუდმივი თაყვანისცემა არ ჰკმაროდა მარტო შენის შეუბრალებელის გულის მოსალბობად. შენ კიდევ ჰსაჭიროებდი იმ გამარჯვებას, რომელიც მეამბოხეთა დამარცხებით მოვიპოვე! სამაგიეროდ ახლა მომელის სხვა, ახალი გამარჯვებაც, იმაზე გაცილებით სასიამოვნო და უფრო უტკბესი...

მაგრამ სწორედ ამ დროს ჟოზეფტამ დააფარა პირზედ ხელი და აღარ დაათავებინა; წამს უკან მარდად გამოუსხლტა მკლავებიდგან და უთხრა:

— ამ საღამოს რესპუბლიკა მიგელით, ჩემო კეთილო მბრძანებელო, წადით და აღასრულეთ თქვენი მოვალეობა.

ბარრი წამოდგა.

— მართლა, მოვალეობა ყველაზედ უწინ! მართალი ხართ, ძვირფასო ჟოზეფტა, მაგრამ მერე...

— განა როდისმე მითქვამს თქვენთვის გადაჭრით უარი?

ბარრა კარგად იცნობდა ამ სიტყვებს, ქალი ხშირად იმეორებდა იმას; მაგრამ ამ ხანად თითქოს სულ სხვა კილო ემჩნეოდა მისს ნათქვამს და ისიც აღარ აუხირდა, თუმცა-კი გარდასწყვიტა, კვლავ უფრო გაბედვით მოქცეულიყო.

— მაშ დაგტოვებთ, დირექტორიის წევრები შუაღამისას შეიკრიბებიან.

ამ სიტყვებით გაბრუნდა კარებისაკენ, მაგრამ ჟოზეფტამ კეკლუცის მოძრაობით შეაჩერა.

— ერთი სიტყვა კიდევ, ჩემო მბრძანებელო. თქვენ მგონი სთქვით, რომ ქალაქი გარშემორტყმულია ჯარითაო?

— დიახ, რასაკვირველია, ყველა გასავალს სასტიკად სდარაჯობენ.

— ხვალაც ასევე იქნება?

— ხვალაც, ზეგაც და მერეც, თუ საჭიროება მოითხოვს! რად ჰკითხულობთ, განა აპირებთ სადმე წასვლას?

— ვფიქრობდი რამდენიმე დღე ჩემს ახალ აგარაკ დე-ვილნევ-სენ-ჟორჟში გამეტარებინა... რასაკვირველია, თქვენც მნახავთ ხოლმე იქ? დაუმატა მან მომხიბლავის ღიმილით, რადგან აშკარად დაატყო ბარრას წყენა ამის გაგონებაზედ: ამ გვარად მოგეცემათ საშუალება ამ მშვენიერ დარში მინდვრის ჰაერით დატკბეთ.

— აი ეგ მშვენიერი აზრია! —წამოიძახა ძალის მქონე მმართველმა, რომელსაც პირველ ხანში არაფრად ეპიტნავა თავისს მშვენიერ მეგობართან განშორების ამბავი. როდის აპირებთ წასვლას?

— ხვალ დილით.

— ძალიან კეთილი, ხვალ, დილაადრიანად, გამოგიგზავნით თქვენთვის და თქვენის მოახლისათვის ქალაქიდგან გასვლის ნებართვის ქაღალდს.

— თან წავიყვან მარტო მოახლეს, ერთს მოსამსახურეს და მეეტლეს. ჩემი აგარაკის ზედამხედველი ქალი მოგვიმზადებს ხოლმე სადილს, თუ, რასაკვირველია, მოისურვებთ ჩვენსა მობრძანებას.

— ხვალიდგან თქვენსა ვეახშმობ. ნახვამდის, ჩემო ანგელოზო!

შუბლზედ კოცნამ დაასრულა ნაზი გამოთხოვება და ბარრა გავიდა.

ჟოზეფტა გადაეყუდა მოაჯირს და უყურებდა ბარრას, როდესაც ის ჩადიოდა კიბეზედ; მან მოჰკრა ყური მადლობას, რომელიც გადაუხადა ბარრამ მოახლეს კარების გაღებისათვის. მოისმა ეტლის დამაყრუებელი ხრიალი და წუთს შემდეგ ესეც მისწყდა. მხოლოდ მაშინ დაბრუნდა ჟოზეფტა დარბაზში, სადაც უცდიდა ლამაზი მოახლე, რომელსაც სახე მაცდურად უღიმოდა და რომელიც ნამდვილი, ზედ-გამოჭრილი სამსახიობო მოსამსახურე იყო.

— შეგიძლიან წახვიდე და დაიძინო, პიერეტტა, ხვალ-კი დახურული ეტლი და ცხენები დაიქირავე.

— აგარაკად მივდივართ?

— ჰო, დილის ათს საათზედ.

(შემდეგი იქნება)

ეს ბატალიონები მაშინვე იქმნება მოწვეული, ტაროსი შეგვიწყობს თუ არა ხელს ამ ჯარის დასაბინავებლადაო.

**ნოტტინგამი.** საერო-სალიბერალო კრებაზედ უმთავრესად სერ ედუარდ გრეი ჰლაპარაკობდა. მან ის აზრი გამოსთქვა, რომ კრიუგერის სამშვიდობიანო წინადადებანი ისეთის შინაარსისა და თვისებისა არ იყო, რომელზედაც მთავრობას შესძლებოდა მოჰლაპარაკებოდაო. საზოგადოებათა პალატა კვლავ მხარს დაუჭერს მთავრობას. შეუძლებელად მიმაჩნია პალატის დათხოვნა იმ დრომდე, ვიდრე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკები დაპყრობილ ანუ დამარცხებულ არ იქმნება. გრეის აზრით, კარგი იქმნება, რომ ბრიტანიის დროშისა ქვეშე სამხრეთ აფრიკის კონფედერაცია დაარსდესო.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“ კრონშტადტელი კორესპონდენტი იცნობება 26 მარტს: „შევიტყე, რომ ოლივიე შეერთებია გრობლერისა და ლემმერსის ჯარს და რომ ბრიტანიის ჯარი უკან იწევს ლეუვრივერიდგან ტაბანკუსაკენ“.

**კალუგა.** 13 მარტს მოსკოვ-ბრიანსკის რკინის გზაზედ, ვოროტინსკს ახლოს, საქონლის მატარებელი დაიმტვრა. მოკლულია მემანქანე და დაჭრილი შვიდი კაცი მატარებლის მოსამსახურეთანი.

## წერილი რედაქციის მიმართ

(ძველი-სენაკის ამხანაგობის „შუამავალი“-ს წევრთა საყურადღებოდ)

სხვა და სხვა კუთხიდან შემეკითხნენ ხსენებულ ამხანაგობის წევრები, რომ არსებობს თუ არა ისევ ამხანაგობა და რა არის მიზეზი, რომ გამგეობა არაფერს აცხადებს ამხანაგობის მდგომარეობისა და თავისის მოქმედების შესახებო? ამასთანავე ბევრმა მთხოვა დივიდენდი და ბევრმა წილის ფულის დაბრუნებაც.

წლის ბოლოს ანგარიში უნდა გამოცხადებულიყო და ამხანაგებისათვის შეეტყობინებინათ გამგეობის მოქმედება, მაგრამ არ მოხდა.

აქ მე არავითარი ბრალი არა მაქვს, რადგან ყოველივე ეს ამხანაგობის გამგეობის მოვალეობას შეადგენს. არც დივიდენდის და წილის ფულის დარიგება შემიძლიან, რადგან ეს ჩემს გამგეობას არ შეადგენს თავნი და მოგება უკლისად ინახება; მისი ბედი კრებისაგანაა დამოკიდებული. უთუოდ, ამხანაგობის გამგე ბ-ნი ს. ყიფიანი დანიშნავს კრებას და დააკმაყოფილებს წევრების კანონიერს თხოვნას, მით უმეტეს, რომ ბევრი საგანია განსახილველი. მეც ჩემს თანამდებობას თავს ვანებებ და მაგიერი კაცი უნდა აირჩიოს კრებამ.

ამხანაგობის მოლარე

ლევან ქავთარაძე.

# განცხადებანი


## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 20 აპრილს, ამა 1900 წელს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა მნაცაკანის ხიდზედ გამვლელ-გამომვლელ ეტლებსა და აგრეთვე საქონელზედ დადებულ გადასახადის მოკრების საქმე.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გამგეობის მე-4 განყოფილებაში გასინჯონ ყოველ-დღე კვირა-უქმეს გარდა 9 დგან—2 საათამდე.

(3—б.—2)


# ბ ა ლ ა ნ ს ი

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა 1 იანვრისათვის 1900 წლისა

### ა ქ ტ ი ვ ი

| | | მან. | კაპ. | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნაღდი ფული კასსაში . . . | | 54,596 | 44 | | |
| გირავნობის ფურცლებით . . | | 233,200 | — | | |
| კუპონების ახალ ფურც. ბანკ. გირავ. ფურც. შესაცვ. . . . | | 2,040 | — | | |
| ძველის ტალონებით გირავნობის ფურცლებისა, რომელნიც დანიშნულია მოსასპობად . . . . | | 800 | — | 290,636 | 44 |
| მიმდინარე ანგარიში სხვა-და-სხვა ბანკში | | 383,824 | 34 | | |
| ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებაში შეტანილი. | | 20,850 | — | | |
| კორესპონდენტებთან ნაღდად . . | | 81,401 | 76 | 486,076 | 10 |
| „ „ გირავნობის ფურც. | | | | 349,000 | — |
| ბანკის სარგებლიანი ქაღალდები: | | | | | |
| სახელმწიფო და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილი ქაღალდები: | | | | | |
| ა, სათადარიგო თანხის სარგებლიანი ქაღალდები . . | 382.800 | 375,622 | 50 | | |
| ბ, სამოქმედო თანხისა . | 853.700 | 839,154 | 38 | | |
| მთავრობის მიერ არა უზრუნ.-ყოფილი სარგებლიანი ქაღალდები: | | | | | |
| ა, სამოქმედო თანხისა . | 361.500 | 341,594 | 80 | 1.556.371 | 68 |
| იმათი სარგებელი . | | | | 7,264 | 25 |
| | 1.598,000 | | | | |
| დიდ-ვადიანი სესხი: | | | | | |
| ა, მიწა ადგილის გირაოდ მიღებით გაცემული . | 3.319,588—82 | | | | |
| ბ, ქალაქის უძრავ ქონებათა გირაოდ მიღებით გაცემ. | 16.160.323—89 | 19,479,912 | 71 | | |
| ვადაზედ გარდახდ. სესხი | 154,342—23 | | | | |
| ვადამდე გარდახდილი სესხი ნაღდ ფულით . . | 113,245—06 | 267,587 | 29 | 19 747,500 | — |
| გასაცემად დანიშნული ხანგრძლივ ვადიანი სესხი . . . . . | | | | 498,800 | — |
| მსესხებელნი: | | | | | |
| ა, დანაწილებულნი შემოსატანნი . | | 870 | 75 | | |
| ბ, ვადას გადაცილებულნი შემოსატანნი (დებიტორები) . . . | | 5.871 | 05 | 6,741 | 80 |
| შ ღავათიანი გარდასახ. § 12. | | | | | |
| ა, დიდ-ვადიანის სესხისა . . . | | 444,164 | 20 | | |
| ბ, მოკლე-ვადიანის სესხისა . . | | 9,012 | 06 | 453,176 | 26 |
| ჯარიმა ვადაზედ შემოსატანის დაგვიანებისათვის . . . . . | | | | 6,156 | 80 |
| მოკლე-ვადიანი სესხი . . . . | | | | 332,985 | 00 |
| დასაბრუნებელი ხარჯი . . . | | | | 24,176 | 52 |
| 5% გარდასახადი კუპონებისა . . | | | | 32 | 15 |
| ხარჯი ბანკის მორთვა მოწყობისა. . | | | | 7,786 | 18 |
| საკომისიოდ მიღებული გირავნობის ფურცლები . . . . . | | | | 174,528 | 50 |
| ბანკის საგენტოში ნაღდ ფულად . | | 57,116 | 14 | | |
| „ „ გირავნ. ფურცლებით | | 108,000 | 00 | 165,116 | 14 |
| 6% გირავნობის ფურცლების კუპონებზედ გარდასახადი ფული . | | | | 1,344 | 00 |
| ხარჯი, რომელიც უნდა დაბრუნდეს გამგეობის წევრთა % დასაჯილდოვებელ ფულიდგან . . . . | | | | 9,000 | — |
| ბანკზედ დარჩენილ მამულებზედ ირიცხება ვალი 1900 წ. 1 ივლისისათვის | | | | | |
| ა, ქალაქის მამულებზედ | 75,489—76 | | | | |
| ბ, მიწა-ადგილზედ . . | 6,747—82 | | | | |
| გ, მოკლე-ვადიან სესხისა | 4.450—00 | | | | |
| | 86.687—58 | | | | |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | | | | 24.116.691 | 82 |

### პ ა ს ს ი ვ ი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ძირის ფული . . . . . | | | 503,928 | 81 |
| სათადარიგო თანხა . . . . | | | 382,988 | 17 |
| თანხა საზოგადო. საჭიროებისათვის . | | | 1,000 | — |
| სასოფლო-სამეურნეო თანხა. . . | | | 18,960 | 80 |
| საყოველ-შემთხვევო თანხა . . . | | | 17,976 | 94 |
| 4½% გამოცემული გირავნ. ფურც. . | 3.934,300 | — | | |
| 5% „ „ „ „ . . | 15 621,900 | — | 19.556,200 | — |
| გირავნობის ფურცლები, ტირაჟში გამოსულნი იმ ჯამისა, რომელიც გადადებულ იქმნა წესდების მე-101 §-ის ძალით, არა სავალდებულო გარდასახადის მოსასპობად . . . | | | 191,300 | — |
| გირავნობის ფურცლები გამოსაცემად დანიშნული . . . . | | | 498,800 | — |
| გირავნობის ფურცლები ექსპედიციის მიერ გამოცემული . . . | | | 245,800 | — |
| ვადამდე გადასახდელი სესხი: | | | | |
| ა, გირავნობის ფურცლებით . . | 110,100 | — | | |
| ბ, ნაღდის ფულით. . . | 113,245 | 06 | 223,345 | 06 |
| ტირაჟში გამოსული გირავნობის ფურცლები: | | | | |
| 4½% . . . . . | 21,500 | — | | |
| 5% . . . . . | 634,000 | — | | |
| 6% გირავნობის ფურცლები ტირაჟში გამოსულნი გაძლიერებულის კონვერსიით . | 53,100 | — | 708,600 | — |
| გირავნობის ფურცლების გარდასახდელი კუპონები: | | | | |
| 5% . . . . . | 380,840 | 00 | | |
| 4½% . . . . . | 87,550 | 87 | 468,390 | 87 |
| სარგებლის ფონდი: | | | | |
| 5% . . . . . | 428,392 | 09 | | |
| 4½% . . . . . | 90,970 | 33 | 519,362 | 42 |
| თავნის გასასტუმრებელი თანხა: | | | | |
| 5% ვადით . . . . | 7,219 | 80 | | |
| 5% უვადოდ . . . | 124 504 | 15 | | |
| 4½ უვადოდ . . . | 22,618 | 28 | 154,342 | 23 |
| თავნის გასასტუმრებ. ფონდი არა სავალდებ. გარდასახ. იმ გირაოს ფურცლ., რომლებიც ურთიერთ შორის თავდებობით არის გამოცემული . | | | 59 | 51 |
| გარდასავალნი ჯამნი: | | | | |
| ა, ნაღდის ფულით . . | 72,225 | 66 | | |
| ბ, გირავნობის ფურცლებით . | 140 900 | 00 | | |
| ამ თავითვე გარდახდილი შემოსატანი . | 1,778 | 89 | 214,904 | 55 |
| საკომისიოდ მიღებული გირავნ. ფურც. | | | 193,400 | — |
| კუპონების ახალი შესაცვლელი ფურც. | | | 2,040 | — |
| ძველი გასაუქმებელი ტალონები . | | | 800 | — |
| განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში . | | | 4,551 | 55 |
| წმინდა მოგება 1899 წლისა . | | | 203 825 | 84 |
| პროგრესიული სამრეწველო გარდასახადი | | | 6,125 | 07 |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | | | 24.116,691 | 82 |

გირავნობის ფურცლები და სხვა სარგებლიანი ქაღალდები შესანახად მიბარებული 5,200 მან.

გირავნობის ფურცლების კუპონებისა და ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლების ფულის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში—ბანკის კასსაში, ს.-პეტერბურგში—პეტერბურგის საუჩოტო და გამსესხებელ ბანკში, ლიონის კრედიტში და ყველა იმის განყოფილებაში, პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკში, პეტერბურგის საერთა-შორისო საკომერციო ბანკში და იმის განყოფილებებში, საბანკო სახლში ი. ვ. იუნკერისა და ამხ., ოდესას—ბ-ნ ო. ხაისთან; მოსკოვში—მოსკოვის საუჩოტო ბანკში, მოსკოვის საერთაშორისო სავაჭრო ბანკში და ყველა იმის განყოფილებაში; ვარშავაში—ვარშავის საკომერციო ბანკში; ტაგანროგში—აზოვ-დონის საკომერციო ბანკში და ყველა იმის განყოფილებაში, რიგაში—რიგის საკომერციო ბანკში და იმის განყოფილებებში; რეველში—ბალტიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკში და სახელმწიფო ბანკში და ამ ბანკის ყოველ კანტორასა და განყოფილებაში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 марта 900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე